საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/266 " 8 " ოქტომბერი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა, სამტრედიის რაიონული სასამართლოს თხოვნის საფუძველზე, წერილობით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა თანხმობის მიცემა აღნიშნული სასამართლოს შენობა-ნაგებობის სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე 12816.84 ლარის ღირებულებით. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმაციით, აღნიშნული სარემონტო სამუშაოები განხორციელდება „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, მიმდინარე წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში არსებული ეკონომიის გათვალისწინებით. ამასთან, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ იქნა აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით საჭირო საინვენტარიზაციო მასალები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის" მე-3 მუხლის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს სამტრედიის რაიონული სასამართლოს შენობა-ნაგებობის სარემონტო სამუშაოები „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებებისა და წარმოდგენილი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული ღირებულების ფარგლებში.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი